საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

თამარ ალფაიძის
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	78	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი თ. ონიანი

თარიღი : 27.05.2021

თამარ ალფაიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ. არ აქვს მიმდინარე სესხი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის თამარ ალფაიძის მიმართ დაკისრებულია
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		ჯარიმები, დაკისრებული ჯარიმები კი კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებას, პროფესიულ სინდისს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, გაწონასწორებულობას, მაღალ რეპუტაციას, კომპეტენტურობას, შრომისმოყვარეობას, თავისუფალი აზროვნების სტილს, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, სამართლიანობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. გამოკითხულ პირთა მოსაზრებით, ძირითადად, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. 2019 წელს იყო დამოუკიდებელი მაჟორიტარი მთაწმინდის რაიონში, თუმცა

		არჩევნებში ვერ მოაგროვა ხმების კანონით დადგენილი რაოდენობა. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ სეუ-მ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა: • რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო; • რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო. • რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; • რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის

		სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო. კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში: დავის საგანი - თანხის დაკისრება. შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. აგრეთვე, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლის საკითხებზე სასწავლო თუ პროფესიული მივლინებით როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატობის შესახებ.

			5. <u>ფინანსური ვალდებულება</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ

			წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იცნობს სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას ძირითადად გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის დონე. გასაუბრებისას კანდიდატი მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა ვერ განავითარა ადამიანის უფლებებზე სიღრმისეული მსჯელობა და ძირითადად მსჯელობა იყო წინააღმდეგობრივი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი შეძლებისდაგვარად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. საჯარო მოსმენის პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ კანდიდატს ძირითადად შეუძლია, მსჯელობა განავითაროს სამართლებრივი მიმართლებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის

			უნარი. გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაბოა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის გასაგებად გადმოცემა. მისი საუბარი არის გამართული. მისი მეტყველება არის მსმენელისათვის მარტივად აღსაქმელი.
პროფესიული თვისებები	**13**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძე პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.

			კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში: "ადამიანის საერთაშორისო უფლებები"; სასწავლო კურსი; The Universite Catholique de Louvain; - JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი; ტრენინგი; - International Human Rights - University de Catolique; სასწავლო კურსი; - Leaders of Learning - ჰარვარდის უნივერსიტეტი; სასწავლო კურსი; - სასწავლო კურსის შეფასება; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; - Training on Media Regulation; European Union; - International Conference on Media Law და ა.შ.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. თამარ ალფაიძე აქტიურად ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	**78**	**100**	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: თ.ონიანი

თარიღი: 27.05.2021